ონის მუნიციპალიტეტსა და ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

მემორანდუმი

ქ. თბილისი,
2021წ

ონის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „მუნიციპალიტეტი“) ს/კ 237978275 წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის: დავით ჩიკვაიძის სახით და ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ ს/კ 405026877 (შემდგომში „სააგენტო“) წარმოდგენილი სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ლაშა მაჭავარიანის სახით, სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს“ შორის 2019 წლის 16 აგვისტოს SRMIRDP/C/SSS/MSDA/01-2019 გაფორმებული ხელშეკრულების ეფექტიანი განხორციელების მიზნით, ვთანხმდებით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებაზე,

1. მემორანდუმის პრინციპები

წინამდებარე მემორანდუმი იდება ამ დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისთვის, ხელმომწერ მხარეთა ურთიერთგაგებაზე, კეთილსინდისიერებაზე, გამჭვირვალობაზე და პატივისცემაზე დაფუძნებული თანამშრომლობის საფუძველზე.

2. მემორანდუმის საგანი და მიზანი

მემორანდუმის საგანია, სსიპ ,,საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ა(ა)იპ ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ შორის 2019 წლის 16 აგვისტოს SRMIRDP/C/SSS/MSDA/01-2019 გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების ფარგლებში, ონის **მუნიციპალიტეტში,** მუნიციპალური ელექტრონული სერვისების ერთიანი პლატფორმის დანერგვა. ხოლო მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს, თვითმმართველობის ეფექტიანობის და გამჭირვალობის გაზრდა მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესების საშუალებით, რომელიც უნდა განხორციელდეს მხარეთა თანამშრომლობით, ელექტრონული მმართველობის ერთიანი სტანდარტის შექმნისა და პროგრამული უზრუნველყოფის სისტემის განვითარების გზით.

3. მემორანდუმის ზოგადი პირობები

3.1 პროექტის ფარგლებში მნიშვნელოვან, აქტუალურ საკითხებზე ერთობლივი სამუშაო შეხვედრების, ტრენინგების ორგანიზება. საერთო ინტერესების სფეროში შემავალი საკითხების კვლევის, ინფორმაციის შეგროვების და დანერგვის პროცედურების განხორციელების ხელშეწყობა;

3.2 საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში კონსულტაციების გაწევა პროგრამების და მასალების შემუშავების პროცესში;

3.3 ელექტრონული პროგრამების შემუშავება და ზრუნვა ამ პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის;

3.4 მემორანდუმის ფარგლებში საქმიანობის განხორციელებისას ნებისმიერი პირობების შეთანხმება, რომელიც შეიძლება შეეხოს მეორე მხარის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს;

3.5 მემორანდუმის ფარგლებში ერთობლივი ღონისძიების ჩატარებისა და ერთობლივი პროექტების განხორციელებისათვის მხარეები თანხმდებიან გამოიყენონ როგორც საკუთარი, ისე მეორე მხარის კუთვნილი რესურსები პროექტის მიზნების მისაღწევად;

3.6 სხვა ღონისძიებების გატარება მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობის მიზნების მისაღწევად.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1 მუნიციპალიტეტი:

4.1.1 პროექტის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით უზრუნველყოფს სააგენტოს წარმომადგენელისათვის საჭირო სამუშაო გარემოს შექმნას, ინტერნეტთან წვდომას;

4.1.2 პროექტის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, მიმართულების ხელმძღვანელებთან და საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან უზრუნველყოფს შეხვედრების ორგანიზებას და მათ ჩატარებას;

4.1.3 პროექტის განხორციელების უზრუნველსაყოფად, მემორანდუმის პრინციპების გათვალისწინებით, კვლევის პროცესში უზრუნველყოფს სააგენტოს წარმომადგენლისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება და ინფორმაციის მოძიების ხელშეწყობას;

4.1.4 პროექტის მიმდინარეობის შესაბამის ეტაპზე განახორციელებს, სააგენტოს წარმომადგენლის მიერ ტრენინგების ჩატარების ორგანიზების უზრუნველყოფას;

4.1.5 პროექტის მიმდინარეობის შესაბამის ეტაპზე განახორციელებს, სააგენტოს წარმომადგენლის მიერ სერვისების დანერგვისთვის საჭირო პროცედურების უზრუნველყოფას და ხელშეწყობას;

4.1.6 გამოიყენებს დანერგილ პროგრამული უზრუნველყოფას შიდა ოპერაციულ პროცესებში.

4.2 სააგენტო:

4.2.1 პროექტის მიმდინარეობის პერიოდში საჭირო ინფორმაციის და მასალების მიღების მიზნით, უზრუნველყოფს შეხვედრების ჩატარებას;

4.2.2 პროექტის მიმდინარეობის შესაბამის ეტაპზე უზრუნველყოფს, მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისათვის შესაბამისი ტრენინგების ჩატარებას;

4.2.3 განახორციელებს ჩატარებული ტრენინგებისა და მის საფუძველზე მიღებული სწავლების შედეგების /ინფორმაციის შეფასებას, კითხვარის მეშვეობით;

4.2.4 პროექტის ფარგლებში უზრუნველყოფს პროგრამის სერვისების დანერგვას;

4.2.5 განახორციელებს დანერგილი პროგრამული მოდულების მოხმარების ინსტრუქციებით /სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფას;

4.2.6 უზრუნველყოფს დანერგილი პროგრამული უზრუნველყოფის გამართულ ფუნქციონირებას.

5. მემორანდუმის მოქმედების ვადა

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ა(ა)იპ ,,მუნიციპალური სერვისების სააგენტოს“ შორის 2019 წლის 16 აგვისტოს SRMIRDP/C/SSS/MSDA/01-2019 გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

6. დამატებითი პირობები

6.1 მესამე პირებთან ურთიერთობებში არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება იმოქმედოს მეორე მხარის სახელით;

6.2 მხარეებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება წერილობითი ფორმით (ფოსტის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით);

6.3 მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

7. მხარეთა რეკვიზიტები

ლაშა მაჭავარიანი

ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების
განვითარების სააგენტო“

ჟ.შარტავას ქ #7

ქ.თბილისი, საქართველო

ტელ: 032 2 37 82 73

ელ.ფოსტა:Info@msda.ge

დავით ჩიკვაიძე

ონის მუნიციპალიტეტის მერი

დ.აღმაშენებლის ქ.#40

ქ. ონი საქართველო

ტელ: 591 01 03 61

ვებ გვერდი:

ელ. ფოსტა: onismeria@gmail.com